

**ფიზიკის შესავალი II**  
2014-2015 სასწავლო წელი, შემოდგომის სემესტრი  
**II კოლოქვიუმის საკითხები**

1. ჩაწერეთ ენერგიის, მუშაობის და სიმძლავრის ერთეულები SI სისტემაში;
- 2 ჩაწერეთ აბსოლუტური ტემპერატურის, სითბოს და კუთრი სითბოტევადობის ერთეულები SI სისტემაში;
3. ჩაწერეთ ბოლცმანის მუდმივასა და ავოგადროს რიცხვის განზომილებები SI სისტემაში;
4. რას ეწოდება კონსერვატული ძალა. მოიყვანეთ კონსერვატული ძალის მაგალითები;
5. რას ეწოდება არაკონსერვატული ძალა. მოიყვანეთ არაკონსერვატული ძალის მაგალითები;
6. ჩაწერეთ მუშაობის და სიმძლავრის გამოთვლის ფორმულები;
7. ჩაწერეთ მსოფლიო მიზიდულობის განონი და გრავიტაციული ურთიერთქმედების პოტენციური ენერგია;
8. რა არის პირველი კოსმოსური სიჩქარე? გამოიყვანეთ ფორმულა;
9. რა არის მეორე კოსმოსური სიჩქარე? გამოიყვანეთ ფორმულა;
10. რას ეწოდება სხეულის კინეტიკური ენერგია. მისი შესაბამისი ფორმულა.
11. რას ეწოდება მექანიკური მუშაობა (განმარტება და შესაბამისი ფორმულა).
12. რისი ტოლია  $x$ -ით გაჭიმული  $k$ -სიხისტის ზამბარის პოტენციური ენერგია?
13. რისი ტოლია დედამიწის ზედაპირიდან  $h$  სიმაღლეზე მყოფი  $m$  მასის სხეულის პოტენციური ენერგია?
14. ჩამოაყალიბეთ ენერგიის შენახვის კანონი მექანიკური სისტემისათვის.
15. როგორ უნდა შევცვალოთ სითხის ტემპერატურა დიფუზიის ტემპის გასაზრდელად: სითხე გავაცხელოთ თუ გავაციოთ? ახსენით რატომ.

16. ჩაწერეთ სხეულის სითბური გაფართოებისას სხეულის სიგრძის ცვლილების ფორმულა. რა განზომილება აქვს წირითი გაფართოების კოეფიციენტს?
17. რას ეწოდება სხეულის სითბოტევადობა? რა ერთეულებში იზომება იგი?
18. რას იწონის ნივთიერების ერთი მოლი?
19. რას ეწოდება დნობის და ორთქლადქცევის კუთრი სითბო? რა ერთეულებში იზომება იგი?
20. ჩაწერეთ კავშირი მოლეკულების მოძრაობის სიჩქარესა და გარემოს ტემპერატურას შორის.
21. ჩაწერეთ იდეალური აირის მდგომარეობის განტოლება; რა სიდიდეებს აკავშირებს იგი?
22. რას ეწოდება იზოთერმული პროცესი? ჩაწერეთ შესაბამისი მდგომარებოს განტოლება და PV დიაგრამა.
23. რას ეწოდება იზქორული პროცესი? ჩაწერეთ შესაბამისი მდგომარებოს განტოლება და PT დიაგრამა.
24. რას ეწოდება იზობარული პროცესი? ჩაწერეთ შესაბამისი მდგომარებოს განტოლება და VT დიაგრამა.
25. რას უდრის აირის მიერ შესრულებული მუშაობა?
26. რა არის აირის შინაგანი ენერგია? დაწერეთ თერმოდინამიკის პირველი კანონი;
27. როგორ განისაზღვრება სითბის სიმკვრივე? დაწერეთ შესაბამისი ფორმულა. რა არის სიმკვრივის ერთეული?
28. როგორ განისაზღვრება წნევა და რა არის მისი ერთეული?
29. რას უდრის სითბეჭი ჩაძირულ სხეულზე მოქმედი ამომგდები ძალა? ჩამოაყალიბეთ არქიმედეს კანონი;
30. ჩამოაყალიბეთ პასკალის კანონი.
31. ჩამოაყალიბეთ ბერნულის კანონი.